ნააღმდეგებინ სსრ კავშირის საბაზო კოდექსს.

3. ჩათვალოს ძალადაკრგულად 1964 წლის 1 ივნისიდან საკანონმდებ-  
ლო ქრები დანართის თანახმად.

4. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიტანოს ცვლილებანი  
სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში სსრ კავშირის საბაზო კოდექ-  
სის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეზნიშვილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. გიორგაშვილი.

შოსუები, კრემლი, 1964 წლის 5 მაისი.

№ 2474-VI.

## სსრ კავშირის საბაზო კოდეხი

### განკოცილება I

#### საბაზო მართვა-გამგეობის ორგანიზაცია

**მუხლი 1.** საბაზო საქმის მართვა-გამგეობა სსრ კავშირის ტერიტორიაზე  
განეკუთხება საგარეო ვაჭრობის სამინისტროს გამგებლობას და ხორციელდება  
მის შემაღებელობაში ასებული მთავარი საბაზო სამართველოს მეშვეობით.

**მუხლი 2.** სსრ კავშირის საბაზო დაწესებულებანი ამ კოდექსის შესაბამი-  
სად ახორციელდება საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიის კონტროლის,  
ასრულებენ საბაზო ოპერაციებს და ეწევიან ბრძოლას საბაზო წესების დარ-  
ღვევებისა და კონტრაბაზის წინააღმდეგ.

**მუხლი 3.** საგარეო ვაჭრობის მინისტრი ამ კოდექსის, სსრ კავშირის სხვა  
საკანონმდებლო ქტებისა და სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა  
საფუძველზე და მათს შესასრულებლად გამოსცემს საბაზო საქმის თაობაზე  
ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სავალდებულო ყედლით მოქანი-  
ზაციისა და მოქალაქისათვის.

**მუხლი 4.** მთავარი საბაჟო სამმართველოს გამგებლობას განცეკუთხება:

ა) ადგილობრივი საბაჟო დაწესებულებების მართვა-გამგეობა, მათივეის სახელმძღვანელო მითითებების მიცემა და იმის კონტროლი, რომ ადგილობრივმა საბაჟო დაწესებულებებმა შეასრულონ საბაჟო საქმის კანონმდებლობა და წესები;

ბ) საბაჟო პოლიტიკის საკითხების შემუშავება;

გ) მონაწილეობა საერთაშორისო შეთანხმების პროექტის იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც შეეხება საბაჟო საქმეს;

დ) საბაჟო ტარიფების პროექტების მომზადება და საბაჟო ტარიფების ვა-მოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ე) საბაჟო წესების დარღვევებთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ვ) საბაჟოების გადაწყვეტილებებზე და საბაჟო დაწესებულებების თანამდებობის პირთა მოქმედებაზე საჩივრების განხილვა, აგრეთვე ადგილობრივი საბაჟო დაწესებულებების გადაწყვეტილებების შემოწმება ზედამხედველობის წესით.

მთავარ საბაჟო სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი.

**მუხლი 5.** ადგილობრივ საბაჟო დაწესებულებებს წარმოადგენ საბაჟოები და მათდამი დაქვემდებარებული საბაჟო პოსტები.

საბაჟოები და საბაჟო პოსტები მოქმედებენ მთავარი საბაჟო სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

საბაჟოებს და საბაჟო პოსტებს ქმნის, მათ რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას ახდენს საგარეო ვაჭრობის მინისტრი.

**მუხლი 6.** საბაჟო დაწესებულებებს და მათს განკარგულებაში მყოფ ხომალდებს აქვთ ერთნაირი დროშა თანამარტული აღწერილობის თანახმად.

**მუხლი 7.** საბაჟო დაწესებულებების ოპერატიული მუშაკებისათვის წესდება ფორმის ტანსაცმლის ტარება. ტანსაცმლის ფორმას და იმ ოპერატიულ მუშაკთა თანამდებობების ნუსხას, რომელთათვისაც წესდება ფორმის ტანსაცმლის ტარება, ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ხოლო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესს — საგარეო ვაჭრობის მინისტრი.

## განცოცილება II

### საბაზო ოპერაციები

თ ა ვ ი 1

საერთო დებულებანი საბაჟო კონტროლის შესახებ

**მუხლი 8.** სსრ კავშირის სახელმწიფო საზოგარზე ტვირთის გატარება ხდება საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონობოლიის შესახებ კანონმდებლობისა და ამ კოდექსის დებულებების შესაბამისად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საზოგარზე ტვირთის გატარება ხდება საბაჟო დაწესებულებების მეშვეობით.



ტვირთად ამ კოდექსში იგულისხმება ყოველგვარი ნივთი, გადასატაა-გადმოსატანი (მათ შორის ბავაშით და საფოსტო გზავნილით) სსრ კავშირის საზღვარზე.

**მუხლი 9.** სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე გადასატაან-გადმოსატაან ტვირთს კონტროლი უნდა გაეწიოს.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება ტვირთზე:

ა) რომელიც შემოტანილია საზღვარგარეთიდან — მოსვლის დროიდან მანამდე, სანამ მას საბაჟო დაწესებულება ქვეყნის შიგნით გაუშვებდეს;

ბ) რომელიც გასატანია საზღვარგარეთ — საბაჟო დაწესებულებაში წარდგნის დროიდან მანამდე, სანამ მას საბაჟო დაწესებულება საზღვარგარეთ გაუშვებდეს;

გ) რომელიც სატრანზიტოა — საზღვარგარეთიდან მოსვლის მომენტიდან მანამდე, სანამ მას საბაჟო დაწესებულება საზღვარგარეთ გაუშვებდეს;

დ) რომელიც გადასატანია ერთი საბაჟო დაწესებულებიდან სხვა საბაჟო დაწესებულებაში — მანამდე, სანამ დანიშნულების საბაჟო დაწესებულება ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ გაუშვებდეს.

**მუხლი 10.** ტვირთის დატვირთვა, გადმოტვირთვა და გადატვირთვა, აგრეთვე საფუთავის დაზიანებათა გასწორება, ტვირთის ნაჭრების გახსნა ან ხელმეორედ შეფუთვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საბაჟო დაწესებულების ნებართვით იმ ადგილებში, რომლებსაც დაადგნენ საბაჟო დაწესებულებასთან და სასაზღვრო ჭარების საკონტროლო-საშვებ პუნქტან შეთანხმებით.

**მუხლი 11.** ყველა ტვირთზე, რომელიც მოტანილია სატვირთო საბუთების გარეშე, იმაზე, რომ ტვირთი არ შეესაბამება სატვირთო საბუთების მონაცემებს, და ტვირთის აღმოჩენილ დაზიანებებზე, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა საბაჟო დაწესებულებას არ წარუდგნენ ამ კოდექსით გათვალისწინებულ საბუთებს ანდა როცა ეს საბუთები ზუსტი არ არის, საბაჟო დაწესებულებების მუშავთა მონაშილეობით დგება აქტი.

**მუხლი 12.** თუ სატრანსპორტო ორგანიზაცია განაცხადებს, რომ რომელიმე ტვირთი შემოტანილია სსრ კავშირში შეცდომით, ისევ საზღვარგარეთ მისი გატანის ნებართვას იძლევა საბაჟო დაწესებულება მას შემდეგ, როცა წარმოადგნენ ტვირთის შეცდომით შემოტანის დამადასტურებელ საბუთებს.

**მუხლი 13.** საზღვარგარეთ მიმავალი ან საზღვარგარეთიდან მომავალი სატრანსპორტო საშუალებანი, მათ შორის საპერსო ხომალდები, უნდა ვაატარონ საბაჟო დაწესებულებათა და სასაზღვრო ჭარების საკონტროლო-საშვებ პუნქტა განლაგების ადგილებში.

საზღვარგარეთ მიმავალ და საზღვარგარეთიდან მომავალ სატრანსპორტო საშუალებებს საბაჟო კონტროლი უნდა გაეწიოს.

**მუხლი 14.** საზღვარგარეთ მიმავალი ან საზღვარგარეთიდან მომავალი სატრანსპორტო საშუალებანი უნდა გაჩერდნენ იმ ადგილებში, რომლებიც დადგნილია საბაჟო დაწესებულებასთან და სასაზღვრო ჭარების საკონტროლო-საშვებ პუნქტან შეთანხმებით.

სატრანსპორტო საშუალებების გასაჩერებელი ადგილის შეცვლა და მათ შეცვლა ისე, თუ არ იქნა საბაჟო დაწესებულებისა და საკონტროლო-საშეები პუნქტის თანხმობა, არ შეიძლება.

**მუხლი 15.** საბაჟო დაწესებულებათა განლაგების ადგილებში სატრანსპორტო საშუალებების მოსვლის დროს და დგომის ხანგრძლივობას შესაბამისად აწესებენ საზღვაო ფლოტის სამინისტრო, გზათა სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპარკო ფლოტის მთავარი სამმართველო და მოკავშირე რესპუბლიკურის სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოები, ამასთან ითვალისწინებენ საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო დროს, რასაც განსაზღვრავენ საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 16.** საზღვარგარეთ მიმავალი და საზღვარგარეთიდან მომავალი სატრანსპორტო საშუალებების და მათ მიერ გადაზიდული ტვირთის საბაჟო კონტროლი ხორციელდება იმ წესებისამებრ, რომლებსაც ამტკიცებს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო მას შემდეგ, რაც ამ წესებს შესაბამისად შეუთანხმებს საზღვაო ფლოტის სამინისტროს, გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპარკო ფლოტის მთავარ სამმართველოს და მოკავშირე რეპუბლიკურის სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებს.

**მუხლი 17.** საზღვარგარეთ მიმავალმა და საზღვარგარეთიდან მომავალმა პირებმა უნდა გაიარონ საბაჟო დაწესებულებები და სასაზღვრო ჯარების საკონტროლო-საშეები პუნქტები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე გადასვლა ისეთ ადგილებში, სადაც განლაგებული არ არის საბაჟო დაწესებულებები, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით ან სსრ კავშირის შეთანხმებებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან.

მგზავრების ჩაჯდომა საზღვარგარეთ მიმავალ სატრანსპორტო საშუალებებში და მგზავრების გადმოსხდომა საზღვარგარეთიდან ჩამოსული სატრანსპორტო საშუალებებიდან, ხდება იმ მოთხოვნათა დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია საბაჟო კონტროლის შესაბამისი წესებით (მუხლი 16).

**მუხლი 18.** სსრ კავშირის საზღვარზე ტვირთის და სატრანსპორტო საშუალებების გატარება ისეთ ადგილებში, სადაც განლაგებული არ არის საბაჟო დაწესებულებები, ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მთავარი საბაჟო სამმართველოს ნებართვით.

**მუხლი 19.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით ტვირთის ზოგიერთი ცალკე სახეობა შეიძლება გათავისუფლდეს ბაჟის გადახდევინებისა და საბაჟო შემოწმებისაგან, ხოლო სატრანსპორტო საშუალებანი — საბაჟო დათვალიერებისაგან.

**მუხლი 20.** თუკი საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, დადგრილია ამ კოდექსში წესებისაგან განსხვავებული საბაჟო საქმის წესები, გამოიყენება საერთაშორისო შეთანხმების წესები.

### საბაურ კონტროლი წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს

**მუხლი 21.** საზღვარგარეთ მონაცენე გემებს, რომელიც პორტში ჩამოვიდნენ ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის ან სხვა მიზეზის გამოპორტში დგომის მთელი დროის მანძილზე უწევენ საბაურ კონტროლს.

საბაურ დაწესებულებას უფლება აქვს პორტში გემის დგომის მთელი დროის მანძილზე ახდენდეს მის დათვალიერებას, აგრეთვე დაპლომბოს ან დაბეჭდოს გემის ის სათავსები, სადაც არის შემოსატან-გასატანად აკრძალული ტვირთი, ან სხვა ნივთები, რომელთა ნაპირზე გადმოტანა დაუშვებელია.

**მუხლი 22.** აკრძალულია გემიდან ნაპირზე ან სხვა გემზე ანდა ნაპირიდან გემზე რამე სავნის გადაცემა ისე, თუ არ იქნა საბაურ დაწესებულების ნებართვა.

ეს წესი არ შექმნა მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია სიმძიმეთა გადმოსატვირთად ან ასაწევად, დაზიანებისაგან ტვირთის დასაცავად, აგრეთვე ტაკელაჟს, იმ შემთხვევებში, როცა ეს მოწყობილობა და ტაკელაჟი საჭიროა გემის ან ტვირთის დაღუპვის ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

**მუხლი 23.** თუკი გემს ავარიის, ყინულით შეკვრის ან იმ სხვა გარემოებათა შედეგად, რომელთაც გადაულახვი ძალის ხასიათი აქვს, არ ექნება შესაძლებლობა მოვიდეს იმ პუნქტამდე, სადაც იმყოფება საბაურ დაწესებულება და სასაზღვრო ჭარბის საკონტროლო-საშვები პუნქტი, გემიდან ტვირთის გადმოტვირთვა დაშვებულია იმ ადგილებში, სადაც არაა საბაურ დაწესებულებანი.

ამ შემთხვევაში გემის ჭარბიანი მოვალეა ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ტვირთის უქნებლობა, რათა წარუდგინოს იგი საბაურ დაწესებულებას. უახლოესი პორტი, სადაც არის საბაურ დაწესებულება, მოვალეა მიიყვანოს საბაურ დაწესებულების მუშაქები ტვირთის გადმოტვირთვის ადგილზე ან უზრუნველყოს მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა საბაურ დაწესებულებაში.

**მუხლი 24.** საზღვარგარეთიდან მოსული გემის კაპიტანი მოვალეა საბაურ დაწესებულებას წარუდგინოს მთავარი საბაურ სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმის წერილობითი ჩვენება.

კაპიტანის წერილობით ჩვენებას თან ერთვის:

ა) მანიფესტი, არსებული კონცამენტები და სხვა საბუთები იმ ტვირთის შესახებ, რომელიც გადაქვს;

ბ) სია მგზავრებისა, აგრეთვე გემზე მყოფ ყველა სხვა პირებისა, რომელიც არ მიეკუთვნებიან გემის ეკიპაჟს, მათი სახელისა და გვარის ჩვენებით;

გ) გემის ეკიპაჟის წევრთა სია (გემის როლი);

დ) სურათისა და გემის მომარაგებისა და აღჭურვილობის აღწერილობა, აგრეთვე იმ ნივთების ნუსხა, რომებიც ეკუთვნის კაპიტანს და გემის ეკიპაჟის სხვა წევრებს;

յ) ԿԵՆՔԵՑԻ ՀԵՄՈՒ ՍԱԼԱՐՆՈՇԻ ԱԽՏԵՑՄԱՆ, ԱԳՐԵՇՎԵ ԿԱՊՈՒՆՆՈՒ ԾԱ ՀԵՄՆ  
ՀԱՅՈՒՅՈՒՆ ՍԵՎԱ ՖՐԵՎՐԵՑԻՆ ԿՄԱՐԵՑՆՈՂ ՎԱԼՄԱՐԻՆ ԾԱ ՍԱՎԱԼՄԱՐԻ ՇԱՏԵՑՄԱՆ  
ՀԱՄԱԳՐԵՑՆՈՒՆ ՄԵՍԱԵՑ;

շ) ՍԵՎԱ ՍԱՅՄԱԼԺՈ ՍԱԲՄԱՐԵՑԻ (ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ՄՈՒԵՐՆՈՒՆ).

ԹՄԿԼՈ 25. ՀԵՄՈՒ ԿԱՊՈՒՆՆՈՒ ՄԵՐ ԻՎԵՆԵՑԻՆ ԾԱ ՍԵՎԱ ՍԱԲՄԱՐԵՑԻ ՓԱՐԺԳԱԿՆ  
ՄԵՄԸՆ ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ԱԵՋԵՆ ՀԵՄՈՒ ՋԱՏՎԱԼՈՒՇՎԵՐԵՑԻՆ, ԱՄԱՏԱԿ ԿԱՊՈՒՆ  
ԱՆ ՄԻՍԳԱՆ ՀՄՄՄՆԵՑԻ ԱԼՎՄՌՎՈՂՈ ՊՈՌՈ ՎԱԼՄԱՐԵՑՄԱՆ ԱՌ ՋԱՄԱԼՈՆ ԾԱ ԳԱ-  
ԼՈՆ ՀԵՄՆԵ ԱԽՏԵՑՄԱՆ ԿՎԵԼԱ ՍԱՏԱԵՏ.

ՀԵՄՈՒ ՋԱՏՎԱԼՈՒՇՎԵՐԵՑԻՆ, ԱԳՐԵՇՎԵ ՀԵՄՈՒ ՍԱՏԱՎԵՑԻ ՋԱՊԼՈՆՄՑՈՒՆ ԱՆ ՋԱ-  
ԾԵՎՇՎՈՒՆ ՄԵՍԱԵՑ ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ԱԼՆՈՄՎԵՆԱՆ ԱԿԵԵՑԻ ԿԱՊՈՒՆՆՈՒ ԻՎԵ-  
ՆԵՑԱՑ.

ԹՄԿԼՈ 26. ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ԲՐՈՎԱԼԵԱ ՋԱՄՎԱՆ ՔՎՈՐԻՆՈՒ ԳԱԺՄՈ-  
ՐՎՈՐԴՎԱ ԻՄ ՊՈՐԴՄՌՈ, ՀՈՄԵԼՍԱԿ ՄՈՈՒԵՐՆՈՎ ՀԵՄՈՒ ԿԱՊՈՒՆԱՆ, ԻՄ ՄԵՄՏԵՎԵՎԱՇՈՒՎ  
ԿՈ, ՄԿ ՔՎՈՐԻՆ ԿՐՈՆԸՍԱՄԵԿՆԻՆ ԱՆ ՆԵՐՆԱՇԵՑԻ ՄԻԵՎՇՎՈՒ ԳԱԿՄԱՆՄՑՆՈՂ ՈԿՄ  
ՍԵՎԱ ՊՈՐԴՄՌՈՍԱՏՎՈՒՆ.

ԹՄԿԼՈ 27. ՔՎՈՐԻՆ, ՀՈՄԵԼՈՒ ԿՐՈՆԸՍԱՄԵԿՆԻՆ ԱՆ ԿԱՊՈՒՆՆՈՒ ԻՎԵՆԵՑԻՆ ՄՈ-  
ԷՎԵՇՎՈՒ ԳԱԿՄԱՆՄՑՆՈՂ ԱՄԱ ՄԿ ԱՎԱՐԿԱՆ ՄՈՒԵՐՆՈՍԱՏՎՈՒՆ, ՄՆԴԱ ՓԱՐԺԳԱԿՆՈՎ ՍԱԲԱԿ  
ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ. ԻՄ ՔՎՈՐԻՆ ՄԵՍԱԵՑ, ՀՈՄԵԼՈՒ ԱՌ ՄՈՄՄԱՆԱԿ ԱՄԱ ՄԿ ԱՎԱՐԿԱՆ  
ՄՈՒԵՐՆՈՎԱՆ ՍԿԱՆ ՖԵՎՐՈ 48 ՍԱՏԱԿ ՄԵՄԸՆ ՓԱՐԺԳԱԿՆՈՎ ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ  
ԱՊԳՈՎԱԼՄԱՆ ԱՐՆԵՐ, ՀՈԹ ՎԱՐՀՈՒՆ ՏԱՄԱՅՆ ՍՍՐ ԿԱՎՄՈՒՆԻՆ ՊՈՐԴՄՌՈ ԱՆ  
ՄԿԵԿՄԵԴՎԵՇ ՊՈՐԴՄՌՈ ՄԱԲ ՍԱՏԱԿԱՇՎ ԳԱԿՄԱՆՄՑ ՍՍՐ ԿԱՎՄՈՒՆԻՆ ԿՐՈՆԸՍՈՒՆ  
ԱՆ ԱԳԳՈԼՈՆԲԻՎ ԵԿԼՈՍՄՈՒՅԱԼԹ.

ԹՄԿԼՈ 28. ՔՎՈՐԻՆՈՒ ԳԱԺՄՈՐՎՈՐԴՎՈՒՆ ՄԵՎԵՐԵՑԻ ՄԵՍԱԵՑ ՋԳԵ ԱՅԲԻ,  
ՀՈՄԵԼՍԱԿ ԵԿԼՈ ՖԵՎՐԵՆ ՀԵՄՈՒ ԿԱՊՈՒՆԱՆ ԱՆ ՄԻՍԳԱՆ ՀՄՄՄՆԵՑԻ ԱԼՎՄՌՎՈՂՈ  
ՊՈՌՈ, ՊՈՐԴՄՌՈ ՓԱՐԺՄԱՆԳԵԿՆԵԼՈ ԾԱ ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ՄՄՎԱՅ.

ԹՄԿԼՈ 29. ԱՄԱ ՄԿ ԻՄ ՊՈՐԴՄՌՈՍԱՏՎՈՒՆ ԳԱԿՄԱՆՄՑՆՈՂ ԿՎԵԼԱ ՔՎՈՐԻՆՈՒ ԳԱ-  
ԺՄՈՐՎՈՐԴՎՈՒՆ ՋԱՄՄԱՎՇԵՑԻ ՄԵՄԸՆ ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ՓԱՐԺՄԱՆԳԵԿՆԵ-  
ՑԻ ԱԵՋԵՆԵՆ ՀԵՄՈՒ ՋԱՏՎԱԼՈՒՇՎԵՐԵՑԻՆ.

ԹՄԿԼՈ 30. ԿԱՊՈՒՆԻՑ ԳԱՄՈՐԻԿՈՎՈՒՆ ԱՆԴԱ ՆԵՐՎԱՇՈ ՋԱՆՈԱԿԵՑՄԱՆ ԱՆ ՋԱԼՄ-  
ՔՄԱՆ ՀՄՄՄԵՑԻ ՋԱԴԱՐՀԵԿՆՈՂ ԾՎՈՐԻՆ ԵՋԵՎՄԸՆ ՋԱՐԵՑԻ ՍԱԲԱԿ ԿՐՈՆԸՐՈՆՆ,  
ԱՄԱՏԱԿ ՋԱԾՄՈՒ ՄԿ ՈԿՄ ՍԵՎԱ ՊՈՌՈ ՀՈՄԼԵՑՍԱԿ ԱՄԻՐԿՈՎԵՑԻ ՍԱԳԱՐԵՐ ՎԱ-  
ՀՐՈՒՆԻՆ ՍԱՄԻՆՆՈՒՐՈ ՍԱԽՎԱԿ ՊՄԼՈՒՆԻՆ ՍԱՄԻՆՆՈՒՐՈՆՍՏԱԿ ԾԱ ՍՍՐ ԿԱՎՄՈՒՆԻՆ ՊՄ-  
ՆԱՆՍՏԱ ՍԱՄԻՆՆՈՒՐՈՆՍՏԱԿ ՄԵՏԱՆԵՑԵՑԻՆ.

ԹՄԿԼՈ 31. ՀԵՄՈՒ ՍԱԽՎԱՐԳԱՐԵՇ ԳԱՄՁԵՆԵՑԻՆ ՓՈԽ ԿԱՊՈՒՆԱՆ ՄՈՎԱԼԵԱ ՍԱ-  
ԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ՓԱՐԺԳԱԿՆՈՎ ՄԱՆՈՒԵՍՏԻ ԾԱ ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ՄՄՎԵՐՆՈՒ-  
ՆՈՒ ՍԵՎԱ ՍԱԲՄԱՐԵՑԻ, ՀՈՄԼԵՑՍԱԿ ԱԼՆՈՄՎԵՆԱՆ ԱՄ ԿՐԸԵՎԻՆ 24  
ՄՄԿԼՄՌՈ.

ԹՄԿԼՈ 32. ՔԱՐՈՇԵԱԼՈՒՆ, ՆԵՐՎԱՇՈ ՄԵՎԵՐԵՑԻ, ՄՈՎԿԵՎՈՒՆ ՊՈՐԴՄԱՐԵՑԻ ԱՆ ԻՄ  
ՍԵՎԱ ԳԱՐՄՈՋԵՑԵՐՈՒՆ ՋԱՎԱՑՄՈՒՆԻՇԵՑԻ, ՀՈՄԵԼԸՆԱԿ ԳԱԼԱՄԱՆԱՎՈ ԿԱԼՈՆ ԽԱՍՈԱՏ  
ԱՅՅԵ, ՊՈՐԴՄՌՈւՆ ՀԵՄՈՒ ՋԱՏՎԱԼՈՒՇՎԵՐԵՑԻ ԳԱՍԱԿԱՆ ՍԱԲԱԿ ՋԱՌԵՍԵՑՄԱՆ ՄԵՏԱՆԵ-  
ՑԻ ՍԱՎԵՐՆՈՒՆ ԱՌ ԱՌՈՒՆ.



მუხლი 88. საბაკო დაწესებულება გვინდს პორტიან წასკლის თანხმობას  
იძლევა მას შემდეგ, როცა კაპიტანი მთლიანად გადაიხდის მთელ დაკისრებულ  
გადასახლელს ანდა წარადგენს კრედიტუნარიანი ორგანიზაციის ან პირის წე-  
რილობით ვალდებულებას, რომ გადაიხდის დაკისრებულ თანხას.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანხა არ იქნება გადახდილი, ან სათანა-  
დო უზრუნველყოფა არ იქნება წარდგენილი, საბაკო დაწესებულება პორტს  
წარუდგენს მოთხოვნილებას გემის დაკავების შესახებ.

**მუხლი 34.** საბავო კონტროლი საკაბოტაჟო ნაოსნობის გემებისა, აგრეთვე იმ გემებისა, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვაოს მიღმა მიღიან მდინარეებითა და ტბებით, და იმ ტვირთისა, რომელიც მათ გადააქვთ, ხორციელდება იმ წესებისამებრ, რომლებსაც მტკიცებს საგარეო კუტრობის სამინისტრო საზღვაო ფლოტის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების სამდინარო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 35. სამხედრო გემები საბაჟო დაოვალიერებას არ ექვემდება-  
რებან.

სამხედრო გემი ამ კოდექსში ივლისსხმება ყოველგვარი ხომალდი (დამსახურე გემი), რომელიც ნაოსნობს სამხედრო ან სასახლორო დროშით, რომელსაც მეთაურობს სამხედრო სამსახურში მყოფი პირი, და რომელიც დაკომპლექტებულია სამხედრო რაზმით, აგრეთვე ის გემიც, რომელიც სსრ კუმირის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური განცხადების თანახმად სამხედრო ოპერატორილი ხასიათის დავალებას სრულდება.

სამხედრო გემის მეთაური პასუხისმგებელია დაიცვას ამ კოდექსის დაბლოკანი.

**მუხლი 36.** ამ კადექსის 35 მუხლის წესები ვრცელდება აგრეთვე უცხო-  
უთის სამნებრო გამეზზე, როცა ისინი სსრ აკშირის პორტიბს ეწვევიან.

0 3 3 0 3

საბაჟო კონტროლი რეინიგზით და ავტომატიკური გარაჟიდან დროს

მუხლი 37. მატარებლის სასაზღვრო საფეხურში მოსკოვისთანავე რკინიგზა გალდებულია დაუყოვნებლივ წარუდინოს საბაჟო დაწესებულებას:

- ა) გადაცემის უწყისი;  
 ბ) ბაგაჟის სია;  
 გ) ზეღლნადებები.

**მუხლი 38.** საბაკო დაწესებულებებს უფლება ქვთ საბაკო დაწესებულებების განლაგების ადგილებში მდგრად საღურების გზებზე მოახდინონ რეინიგზის სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის საფოსტო და საბარგო გავრცების, დათვალიერება იმ წესებისამებრ, რომლებსაც ამტკიცებს საგრძელებების სამინისტრო სსრ კავშირის გზათ სამინისტროსთან და კავშირგამულობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 39. თუ საკირო იქნა, საბავო დაწესებულების მოთხოვნით ტვირთი, რომელიც გადააჭვი საზღვარგარეთ მიმავალ და საზღვარგარეთიდან მომა-

ვალ რენიგზის სატრანსპორტო საშუალებებს, უნდა გაღმოტვირთოს სტრატეგიული რო სადგურში.

გადმოტვირთვისაგან თავისუფლდება:

ა) ტვირთი, რომელიც შეუმოწმებლად უნდა გაიგზავნოს სხვა საბაჟო დაწესებულებებში;

ბ) ტვირთი, რომლის შემოწმება გადმოუტვირთავად არ იწვევს სიძნელეს.

**მუხლი 40.** საბარევო მატარებლის გადმოტვირთვის დამთავრების შემდეგ საბაჟო დაწესებულება იძლევა მატარებლის წასკლის ანდა გადმოტვირთვის ადგილიდან ცალკეული, მატარებლის შემადგენლობაში შემავალი, ვაგონებისა და პლატფორმების მოხსნის ნებართვას.

**მუხლი 41.** საბაჟო კონტროლი ტრანსპორტის საშუალებებისა, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს მიღმა მიღიან გზატკეცილებით და გრუნტის გზით, და ტვირთისა, რომელიც მათ გადააქვთ, ხორციელდება იმ წესებისამებრ, რომლებსაც ამტკიცებს საგრევო ვაჭრობის სამინისტრო შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის საკურომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

### თ ა ვ ი 4

#### საბაჟო კონტროლი საპარო გადაზიდვის დროს

**მუხლი 42.** საზღვარგარებიდან მოსული საპარო ხომალდის მეოსური მოვალეა დაუყოვნებლივ წარუდგინოს საბაჟო დაწესებულებას:

ა) გენერალური დეკანტაცია;

ბ) მგზავრების და ტვირთის უწყისები;

გ) ტვირთის ზედნადებები და ფაქტურები, სპეციფიკაციები და ანგარიშები, რომლებიც ტვირთის ზედნადებებს ეხება, საფოსტო ზედნადებები და ვალისაზიდი ტვირთის სხვა საბუთები.

**მუხლი 43.** ტვირთზე, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ, საბაჟო დაწესებულებას უნდა წარუდგინონ ამ კოდექსის 42 მუხლით გათვალისწინებული საბუთები. ეროვნობრივ საბუთებს წარადგენს ტვირთის საზღვარგარეთ მიმავალ საპარო ხომალდში ჩატვირთვამდე, მაგრამ სულ ბევრი ერთი საათით აღრე გაფრენამდე.

**მუხლი 44.** იმ საპარო ხომალდის კაპიტანი, რომელსაც იძულებით მოუტა და დატრენა იმ პუნქტში, სადაც არ არის საბაჟო დაწესებულება და სასაზღვრო გარების საკონტროლო-საშენები პუნქტი, მოვალე მიიღოს ყველა ზომა, რათა უსრულებელყოს ტვირთის უვნებლობა საბაჟო დაწესებულებაში მის წარსაღვენად. უახლოესი ეროვნობრივი, სადაც იმყოფება საბაჟო დაწესებულება, მოვალეა მიიყვანოს საბაჟო დაწესებულების მუშაკები ხომალდის დაავლომის ადგილის ანდა უზრუნველყოს მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა საბაჟო დაწესებულებაში.



**მუხლი 45.** საბრძოლო თვითმფრინავები, აგრეთვე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებიც სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური განაცხადების თანახმად სამხედრო-ოპერატორული ხსიათის ღაფა-ლებებს სარულებენ, საბაჟო დაოვალიერებას არ ექვემდებარებიან.

### თ ა ვ ი 5

#### საბაჟო კონტროლი ხაერთაშორისო ხაფოსტო გზავნილზე

**მუხლი 46.** სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვაოს მიღმა საერთაშორისო საფოსტო გზავნილით გასაგზავნი საგნების საბაჟო კონტროლი ხორციელდება იმ წესებისამებრ, რომლებსაც ამტკიცებს საგარეო ოვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 47.** დასაშვებია, რომ საერთაშორისო საფოსტო გზავნილით სსრ კავშირში შემოიტანონ, როცა ბაჟს გადაიხდიან, პირადი მოხმარების საგნები იმ სიის და ნორმების თანახმად, რომლებსაც ამტკიცებს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საზღვაოგარეთიდან საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საგნები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

**მუხლი 48.** თუკი საზღვაოგარეთიდან შემოსულ საფოსტო გზავნილში რომელიმე საგანი, რომელიც ნაჩვენებია სიაში (მუხლი 47), აღმოჩნდება იმ რაოდენობით, რაც დაწესებულ ნორმას აღემატება სულ ბევრი ერთორიად, ნორმის ნამეტებ ბაჟი გადახდება ორმაგი რაოდენობით.

**მუხლი 49.** არ შემოიშვება და საზღვაოგარეთ უნდა გაბრუნდეს ის საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის 47 მუხლით გაუთვალისწინებულ საგნებს, ანდა შეიცავს მასში გათვალისწინებულ საგნებს იმ რაოდენობით, რაც ერთორიად და მეტად აღემატება დადგენილ ნორმას. საზღვაოგარეთ უნდა დაბრუნდეს აგრეთვე ის საფოსტო გზავნილი, რომელიც განკუთვნილია არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

**მუხლი 50.** დასაშვებია, რომ საერთაშორისო საფოსტო გზავნილში იმ რაოდენობით, რაც შეესაბამება აღრესატის საჭიროებებს, საზღვაოგარეთ გაიტანონ ყველა საგანი, გარდა საგნებისა, რომლებიც აღნიშნულია საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებულ სიაში.

**მუხლი 51.** საზღვაოგარეთიდან შემოსულ საფოსტო გზავნილს საბაჟო შემოწმების შემდეგ კავშირგაბმულობის საწარმოები თავიანთი პასუხისმგებლობით გადასცემენ აღრესატს, ამსთან გადაახდევინებენ მისთვის დაკისრებულ ბაჟს. ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს საბაჟო დაწესებულება საფოსტო გზავნილის შემოწმების დროს.

ბაჟი კავშირგაბმულობის საწარმოებს შეაქვთ საკუთრი ბიუჯეტის შემოსავალში.

## თ ა ვ ი 6

საზღვარგარეთ მიმავალ პირთა ბარგის საბაჟო კონტროლი

**მუხლი 52.** სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს მიღმა მიმავალ პირთა ბარგის საბაჟო კონტროლი ხორციელდება მას შემდეგ, როცა სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლები შეამოწმებენ საზღვრის მიღმა წასვლის უფლების საბუთებს.

**მუხლი 53.** სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარის მიღმა მიმავალი პირის ბარგი გარდა იმ საგნებისა, რომელთა შემოტანა ან გატანა აქტალულია ან შეზღუდულია, პირადი მოთხოვნილების ფარგლებში, გაშვება უბაჟოდ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული წესებისამებრ.

საგარეო ვაჭრობის სამინისტროს უფლება ენიჭება დააწესოს იმ საგანთა ნუსხა, რომლებიც გაიშვება ბაჟის გადახდევინებით.

**მუხლი 54.** საზღვარგარეთ მონასწერე გემების და საერთაშორისო ფრენის საპატიო ხომალდების ეყიპაჟთა წევრების, რკინიგზის და საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საწარმოების მუშაკების და იმ სხვა პირების კუთხით ბარგი, რომლებსაც თავის სამსახურებრივ მოვალეობათა გამო უფლება ენიჭებათ გადავიდნენ ან გადმოვიდნენ სსრ კავშირის საზღვარზე და მცირე დრო დაცყონ საზღვარგარეთ ან სსრ კავშირში, გაიშვება უბაჟოდ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული წესებისამებრ.

**მუხლი 55.** სასაზღვრო ზოლის მუდმივი მცხოვრებლები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს მიღმა ხანმოკლე დროით მიღიან უახლოებ სასაზღვრო ადგილებში, სარგებლობენ უფლებით ბაჟის გადაუხდელად იქნიონ მხოლოდ პირადი მოთხოვნილებისათვის საჭირო საგნები სსრ კავშირში და საზღვარგარეთ ყოფნის დროს. ასეთი საგნების გატანის წესებს ამტკიცებს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 56.** თუ როგორ გაიშვას სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს მიღმა მიმავალ პირთა კუთხით ვალუტა და ბავალუტო ფასეულობანი. — ეს ვანისაზღვრება იმ წესებისამებრ, რომლებსაც ამტკიცებს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 57.** იმ პირთა ქონება, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად გადმოსახლდნენ სსრ კავშირში, აგრეთვე ქონება, რომელიც შედის საზღვარგარეთ გახსნილი მექვიდრეობის შემადგენლობაში და უნდა გადმოეგზავნოს მემკვდრეებს სსრ კავშირში, გაიშვება უბაჟოდ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული წესებისამებრ.

**მუხლი 58.** სსრ კავშირის დიპლომატიური პასპორტით მიმავალი პირების კუთხით ბარგის, სსრ კავშირის დიპლომატიური ფოსტისა და საბჭოთა დიპლომატიური კურიერების პირადი ბარგის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარ-



ზე გაშვების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით, აგრეთვე წესებით, რომლებსაც ამტკიცებს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 59.** სსრ კავშირში უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურებთან და თანამშრომლებთან და საბაჟო შეღავათებით მათთან გათანაბრებულ პირებთან მიმავალი ტვირთის, აგრეთვე აღნიშნული პირების, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების და სსრ კავშირში მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციების და მათთან არსებული წარმომადგენლობების მისამართით გაგზავნილი ტვირთის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვაოზე გაშვებისა და მათი ბაჟის გადახდევინებისაგან და შემოწმებისაგან გათავისუფლების წესი, ისევე როგორც დიპლომატიური ფოსტისა და უცხოეთის დიპლომატიური კურიერების პირადი საგნების გაშვების წესი, განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით, აგრეთვე იმ წესებით, რომლებსაც ამტკიცებს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

### III 307

ტვირთის გადატანა ერთი საბაჟო დაწესებულებიდან მეორეში. ტვირთის ტრანზიტი სსრ კავშირის ტრიიტორიაზე

**მუხლი 60.** ტვირთი შეიძლება გადატანილ იქნეს ერთი საბაჟო დაწესებულებიდან მეორეში შემოწმებისა და ბაჟის გადახდევინების მიზნით, აგრეთვე საზღვაოგარეთ მის გასაშვებად. ასეთი ტვირთის გადატანა ხდება იმ სატრანსპორტო ორგანიზაციის პასუხისმგებლობით, რომელმაც მიიღო ტვირთი გადასატანად, ამასთან დაცული უნდა იყოს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების და მათ მიერ გადასატანი ტვირთის საბაჟო კონტროლის წესები.

**მუხლი 61.** ერთი საბაჟო დაწესებულებიდან მეორეში გადასატანი ტვირთის გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ სრულ გზავნილად, ერთი გასაგზავნი საბუთით გაფორმებული.

**მუხლი 62.** თუკი ერთი საბაჟო დაწესებულებიდან მეორეში გაგზავნილი ტვირთი არ ჩაბარდება მთლიანად ან ნაწილობრივ დანიშნულების საბაჟო დაწესებულებას არი თვის გადაში, როცა იგი ათას კილომეტრამდე მანძილზე იგზავნება, და სამი თვის ვადაში, როცა იგი ათას კილომეტრზე შორს იგზავნება, მაშინ სატრანსპორტო ორგანიზაცია, რომელმაც ტვირთი მიიღო გადასატანად, მოვალეა აანაზღაუროს ჩაუბარებელ ტვირთზე გადასახდელი ბაჟი.

ამ შემთხვევაში ბაჟის თანხა განისაზღვრება:

ა) საზღვაოგარეთის ფაქტურებისა და სპეციფიკაციების მიხედვით, თუკი მათ წარადგენ საბაჟო დაწესებულებაში და ეს უკანასკნელი მიიჩნევს, რომ ისინი ეკუთვნიან ამ ტვირთს და შეიცავენ ბაჟის გამოთვლისათვის საჭირო მოაცემებს;

ბ) შედნადებების და კონისამნეტების მიხედვით — იმის კვალობებზე, როგორია ბრუტო წონა, გამომდინარე ბაჟის იმ განაკვეთიდან, რომელიც დაღვენილია აღნიშნული სახეობის ტვირთისათვის სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან · შეთანხმებით დამტკიცებული სიით;

გ) ბარგის ნაჭრისათვის და საფოსტო გზავნილისათვის — 2 მანეთისა და 50 კაბიკის ოდენობით ყოველ კილოგრამ ბრუტოზე.

**შუბლი 63.** იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი საბაჟო დაწესებულებაში ჩაბარებამდე დაიღუპა გზაში იმ მიზეზით, რომელიც დამოკიდებული არ იყო სატრანსპორტო ორგანიზაციაზე და რომელიც დამოწმებულია შესაბამისი აქტით, სატრანსპორტო ორგანიზაცია თავისუფლდება ბაჟის გადახდისაგან.

**შუბლი 64.** სსრ კავშირის ტრერიტორიაზე უცხოეთის ტვირთის ტრანზიტით გადაზიდვა შეიძლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესისამებრ.

უცხოეთის ტვირთის ტრანზიტით გადაზიდვის წესებს ამტკიცებს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო მას შემდეგ, რაც ამ წესებს შეუთანხმებს სსრ კავშირის გზათ სამინისტროს, საზღვაო ფლოტის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპარტო ფლოტის მთავარ სამმართველოს და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო და სამდინარო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებს.

## თ ა ვ ი 8

### ტვირთის შემოწმება და გაშვება

**შუბლი 65.** საბაჟო დაწესებულებანი ტვირთის შემოწმებას ახდენენ იმ მიზნით, რომ დაადგინონ კანონიერია თუ არა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე მათი გადატან-გადმოტანა, განსაზღვრონ სატარიფო დასახელება, ფასი, რაოდენობა და, თუ საჭირო იქნა, ხარისხიც.

შემოწმებული ტვირთი შეიძლება ხელახლა იქნეს შემოწმებული.

**შუბლი 66.** ტვირთის შემოწმება ხდება საბაჟო დაწესებულებისათვის წარდგენიდან სამი ღრის გადაში იმ გამონაკლისით, რომელიც დაწესებულია ბაგაჟით და საერთაშორისო საფოსტო გზავნილით მიმავალი ტვირთისათვის.

მთავარ საბაჟო სამმართველოს უფლება აქვს ცალკეული საბაჟო დაწესებულებისათვის გაადიოს ტვირთის შემოწმების ვადა შვიდ დღემდე.

ტვირთის შემოწმება სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოუტვირთავად ხდება იმ ვადებში, რომელიც დადგენილია შემოწმების პუნქტში სატრანსპორტო საშუალებათა დამუშავების ტექნოლოგიური პროცესით. ასეთ შემთხვევაში შემოწმებისათვის საჭირო ღრის განსაზღვრავს საბაჟო დაწესებულება სატრანსპორტო ორგანიზაციისათვის და სასაზღვრო ჯარების საკონტროლო-საშვებ პუნქტთან შეთანხმებით.

**შუბლი 67.** ტვირთის განმეორებულებებს უფლება აქვთ დაესწრონ ტვირთის შემოწმებას და ხელახალ შემოწმებას და გასინჯონ ტვირთის საბუთები.



**მუხლი 68.** სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს მიღმა მიმავალ პირთა კუთვნილი ბარგის შემოწმება ხდება მათი მფლობელის თანდასწრებით საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესებისამებრ.

ბაგაჟის შემოწმება ხდება მიმღების თანდასწრებით. იმ შემთხვევაში, როცა მიმღები ბაგაჟის მოსვლის მომენტიდან ორი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდება, ბაგაჟი შემოწმდება მიმღების დაუსწრებლად.

საერთაშორისო საფრისტო გზავნილის შემოწმება ხდება იმ ვადებში, რომელიც დადგენილია საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

**მუხლი 69.** საბაჟო დაწესებულების მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს მიღმა მიმავალი ტვირტის გაშვება ხდება საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესებით.

ტვირტის გაშვება ხდება მას შემდეგ, რაც ჭთლიანად იქნება გადახდილი ბაჟო და ტვირტზე დარიცხული ყოველგვარი ამოსალები ანდა თუკი გაცემული იქნება თანხმობა ბაჟისა (მუხლი 91) და ამოსალების ნაწილ-ნაწილ გადახდაშე ან გადავადებაზე.

**მუხლი 70.** ტვირტზე, რომელიც შემოაქვთ საზღვარგარეთიდან სატვირთო საბუთების გარეშე, გარდა ბაგაჟის ნაჭრებისა, ნებადართულია ერთი თვის ვადაში წარმოდგენილ იქნეს დამატებითი საბუთები, რომლებიც დაადგენენ ტვირტის განკარგულების უფლებას.

**მუხლი 71.** ბაგაჟის ნაჭრები, რომლებიც არა ნაჩენები არც სატვირთო სიაში, არც სხვა საბუთებში და ამასთან არა აქვთ ნაწები (საჭდე ფირფიტა) ბაგაჟის ნომრით, საბაჟო დაწესებულების მიერ შეიძლება გაშვებულ იქნეს იმ პირობით, თუ კი შემოტანის დღიდან ორი თვის ვალაში წარმოადგენენ იმის დამადასტურებელ საბუთებს, რომ ეს ნაჭრები ეკუთვნის განმცხადებელს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ეს ნაჭრები დადგენილი წესით გადაეცემა სახელმწიფო დაწესებულებას ან საწარმოს გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

**მუხლი 72.** იმ საგნებს, რომლებიც უნდა იქნეს განხილული მთავლიტის ორგანოების მიერ, გამოკვლეული სასინჯ დაწესებულებებში ან შემოწმებული სტანდარტების, ზომისა და წონის ხელსაწყოების ორგანოების მიერ, იგრეთვე საგნებს, რომლებზეც ვრცელდება სპეციალურ დადგენილებათა მოქმედება, გაუშვებს საბაჟო დაწესებულება საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესების დაცვით.

**მუხლი 73.** საბაჟო ორგანიზაციიდან ტვირტის გაშვების დროს ტვირტის განმკარგულებელი მოვალეა საბაჟო დაწესებულებას წარუდგინოს სატრანსპორტო ორგანიზაციის კუთვნილი შველა გადასახადის დაფარვის დამადასტურებელი საბუთი.

**მუხლი 74.** ტვირტი, რომელიც შემოტანილია საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონიპოლიის შესახებ დადგენილებათა დარღვევით, მაგრამ რომელიც არ დაუმალავთ საბაჟო კონტროლისათვის, ტვირტის განმკარგულებელმა შეიძლება გაიტანოს უკან საზღვარგარეთ ერთოვიანი ვადის განმავლობაში.

სწრაფფუჭებადი ტვირთისათვის ეს ვადა წესდება შეიძი დღის მდგრადი დღის მდგრადი გადადის სახელმწიფო საკუთრებად.

თ ა ვ ი 9

### ტვირთის შენახვა და მისი ვადაცემა რეალიზაციისათვის

**მუხლი 75.** ტვირთი საბაჟო დაწესებულებიდან გამოშევებამდე ინახება საბაჟო საწყობებში ანდა საბაჟო დაწესებულების ნებართვით სახელმწიფო სატრანსპორტო ორგანიზაციების საწყობებში და საბაჟო დაწესებულებებთან მიწერილ ტვირთის განმარტულებელთა საწყობებში (მიწერილი საწყობები).

**მუხლი 76.** საბაჟო და მიწერილ საწყობებში ტვირთის შენახვის წესს და სახელმწიფო სატრანსპორტო ორგანიზაციების საწყობებში ტვირთის შენახვის სადმი საბაჟო დაწესებულებების ზედამხედველობის წესს ადგენს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო.

**მუხლი 77.** საბაჟო დაწესებულება პასუხს არ აგებს ბუნებრივი დანაკარგისათვის, აგრეთვე ტვირთის დაზიანების ან დაღუპვისათვის, თუკი ეს მოხდა ტვირთის გაღმოტვირთვის ან საბაჟო დაწესებულებაში შენახვის დროს მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

**მუხლი 78.** იმ შემთხვევაში, თუ კი დაწესებულ ვადებში არ იქნა შეტანილი ბაჟი და გადასახდელები, რომლებიც სატრანსპორტო ორგანიზაციებს ერგება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მიმღებმა უარი თქვა მოელი ტვირთის ან მისი ნაწილის მიღებაზე ანდა იმ ტვირთის ერთი თვის ვადაში მიუღებლობისას, რომლის ბაჟი უკვე გადახდილია, ტვირთი დაღვენილი წესით გადაცემა სახელმწიფო დაწესებულებებს და საწარმოებს გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

**მუხლი 79.** ტვირთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა, ყველა დასახული გამოსალებისა და გადასახდელის დაკავებისა და გაყიდვის ხარჯების ანაზღაურების შემდეგ, გადაცემა ტვირთის განმარტულებელს მისი განცხადებით, თუკი განცხადება გადაცემულია გაყიდვიდან სულ ბევრი ერთი წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ფული შედის საკავშირო ბიუჭეტის შემოსავალში.

სათანადო ნებართვის გარეშე ან საბუთების გარეშე შემოტანილი ტვირთის გაყიდვიდან, აგრეთვე სამგზავრო ნივთების გაყიდვიდან ამონაგები თანხა შედის საკავშირო ბიუჭეტის შემოსავალში.

თ ა ვ ი 10

### ბაჟი

**მუხლი 80.** ბაჟი განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტარიფებით.



**მუხლი 81.** ბაჟის გამოანგარიშება ხდება იმ საბაჟო ტარიფის საფუძველზე მომელიც მოქმედებს ბაჟის გადახდის დღეს ან საბაჟო დაწესებულების მიერ ტვირთის გაშვების დღეს, იმისდა მიხედვით, თუ აქ აღნიშნული ვადიდან რომელი უძღვის წინ მეორეს.

**მუხლი 82.** რაც შეეხება ტვირთს, შემოტანილს იმ ქვეყნებიდან, რომელმაც თანაც სავარი შეთანხმება არ არის დადებული ან რომელმაც ასეთი შეთანხმება დაარღვიეს, საგარეო კაჭრობის სამინისტროს სსრ კავშირის საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეუძლია დააწესოს წანამატი ორსებული ბაჟის განვევეთზე, ხოლო იმ ქვეყნებიდან შემოტანილ უბაჟო ტვირთს შეიძლება დაედოს ბაჟი.

**მუხლი 83.** იმ შემთხვევებში, როცა ტვირთის წარმოშობას ამა თუ იმ ქვეყნიდან შეუძლია გაფლენა მოხატვინოს ბაჟის ოდენობაზე, საგარეო კაჭრობის სამინისტროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეუძლია მოითხოვოს ტვირთის წარმოშობის მოწმობის ან განცხადების (დეკლარაციის) წარმოდგენა.

**მუხლი 84.** საბაჟო ტარიფით გაუთვალისწინებელ ტვირთს უნდა მიუყენონ კულაზე უფრო შესაფერისი სატარიფო ქვედანაყოფი.

**მუხლი 85.** ბაჟის გამოსაანგარიშებელ ფასად მიიჩნევენ საქონლის ნორმალურ საბუთიმო ფასს მისი წარმოშობის ან წარმოების ადგილზე შეფუთვის, დაზღვევის; გადაზიდვის საკომისიო, გასატანი ბაჟის და იმ სხვა მსგავსი ხარჯების მიმატებით, რაც საჭიროა საქონლის საყიდლად და სსრ კავშირის საზღვარზე მისატანად (ფასი სიფ-პორტი ან ფრანკო-სსრ კავშირის საზღვარი).

**მუხლი 86.** ტვირთის განმკარგულებელი ვალდებულია საბაჟო დაწესებულებას წარუდგინოს ანგარიშები, ფაქტურები, სპეციფიკაციები ან სხვა საბუთები, რომელითაც შეიძლება საქონლის ფასის დადასტურება.

**მუხლი 87.** თუ ტვირთის განმკარგულებელს არ შეუძლია წარმოადგინოს სათანადო საბუთები საქონლის ფასის დასადასტურებლად, მას უფლება აქვს შეიტანოს საბაჟოში განცხადება (დეკლარაცია) საქონლის ფასის შესახებ.

**მუხლი 88.** თუ საბაჟო ბაჟის გამოსაანგარიშებლად არ ცომბს საბუთებში ან განცხადებაში (დეკლარაციაში) აღნიშნულ ფასს, აგრეთვე თუ ტვირთის განმკარგულებელი არ წარმოადგენს საბუთებს ფასის დასადასტურებლად და არ შეიტანს განცხადებას (დეკლარაციას) ფასის შესახებ, მაშინ საქონლის იმ ფასს, საიდანაც უნდა მოხდეს ბაჟის გამოანგარიშება, განსაზღვრავს საბაჟო.

**მუხლი 89.** ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება:

ა) ტვირთი, რომელიც დაზიანების გამო არც ნაწარმის სახით, არც მასალის სახით გამოსაყენებლად არ ვარგა;

ბ) ტვირთი, რომელიც დაიღუბა ურთი საბაჟო დაწესებულებიდან მეორეში გადატანისას, აგრეთვე გაღმოტვირთვისა ან საბაჟო საწყობებში შენახვის დროს;

გ) უცხოური წარმოშობის საგნები, რომელთა პირობით უბაჟო შემოტანა სსრ კავშირის ფარგლებში ნებადართულია იმ მიზნით, რომ ნაწარმად გადამუშავდეს ან საბოლოოდ მოპირკეთდეს საზღვარგარეთ ნაწარმის სახით უკანვე გასატანად;

დ) საზღვარგარეთიდან უკანვე შემოტანილი სსრ კავშირის მიწის შეკუსტებით  
და მრეწველობის ნაწარმი;

ე) საზღვარგარეთიდან უკანვე შემოტანილი უცხოური წარმოშობის საგ-  
ნები, რომლების ბაჟი პირველად შემოტანის დროს გადახდილია და რომლებიც  
დროებით გატანილი იყო საზღვარგარეთ;

ვ) უცხოური წარმოშობის საგნები, რომელთა დროებით შემოზიდვაზე გა-  
ცემულია მთავარი საბაჟო სამმართველოს ნებართვა იმ პირობით, რომ სსრ კავ-  
შირის ფარგლებიდან თვითეულ ცალკე შემთხვევაში დანიშნული ვადის მან-  
ძილზე, რაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს, უკანვე იქნება გაზიდული;

ზ) ტვირთი, რომელიც გაზიდულ უნდა იქნეს უკანვე საზღვარგარეთ, თუ  
სატრანსპორტო ორგანიზაცია წარმოადგენს იმის დამტკიცებელ საბუთს,  
რომ ტვირთი შეცდომით შემოუზიდავთ სსრ კავშირში, აგრეთვე თუ შემოსატა-  
ნად ნებადართულ ტვირთზე, რომელიც საბაჟოს კონტროლ ქვეშ იმყოფება,  
ერთი თვის ვადის გასვლამდე ტვირთის განმეორებული შემოიტანს განცხა-  
დებას უკან გატანის შესახებ;

თ) ტვირთი, რომელიც განკუთვნილია სამეცნიერო და სასწავლო მიზნები-  
სათვის, მოსულია სასწავლებლის, სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლეო და-  
წესებულებების მისამართით;

ი) გემის მომარავებისა და აღჭურვილობის საგნები, ნაყიდი საზღვარგა-  
რეთ იმ გემებისათვის, რომლებიც ნაოსნობენ სსრ კავშირის დროშით, იმ შემ-  
თხვევებში, როცა ეს შესყიდვა გამოწეულია ვემის ავარიით, რომელმაც მოუს-  
პო მას უსაფრთხო ნაოსნობის შესაძლებლობა, სურსათის მარაგი, დახარჯული  
საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესების თანახმად, აგ-  
რეთვე საზღვარგარეთ შესყიდული მოწყობილობის საგნები და მასალები, რომ-  
ლებიც საჭიროა სსრ კავშირის საპარტო ხომალდების საექსპლუატაციოდ, თუ  
ეს შესყიდვა გამოწეულია ავარიით, საზღვარგარეთ საპარტო ხომალდების იძუ-  
ლებითი დაგდომით ან დამტკრევით.

**მუხლი 90.** იმ ტვირთზე, რომელიც დაზიანდა გზაში ან საბაჟოს საწყო-  
ნებში შენახვის დროს, მაგრამ ვარგისია მოსახმარად, ბაჟი უნდა გადახდეს  
შემცირებული ოდენობით, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს იმ დაზია-  
ნების ხარისხი, რომელიც დადგენილია საბაჟო დაწესებულების მუშავის მო-  
ნაწილეობით შედგენილი აქტით.

**მუხლი 91.** ტვირთის ბაჟის გადახდისათვის დაწესებულია ერთი თვის ვადა.

ბაჟის გადახლის ვადის გადადების და მისი ნაწილ-ნაწილ გადახდის ნე-  
ბართვას იძლევა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ან მისი დავალებით  
მოკავშირე ჩესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები.

**მუხლი 92.** საბაჟოების საწყობებში ტვირთის შენახვისათვის უნდა გადახ-  
დეს სასაწყობო გამოსაღები.

სასაწყობო გამოსაღების ოდენობას და მისი გამოანგარიშების წესს გან-  
საზღვრავს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტ-  
როსთან შეთანხმებით.



შუბლი 93. ამ კოდექსით გათვალისწინებული ბაჟი, ჭარიმი და სხვა მდგრადი სახლელები შეიძლება გადახდილ იქნეს როგორც სსრ კავშირის ვალუტით, ისე უცხოეთის იმ ვალუტით, რომლის მიღება სსრ კავშირში ნებადართულია.

შუბლი 94. ბაჟის ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნება ხდება იმ პირობით, თუ მოთხოვნა ამის შესახებ წარმოდგენილი იქნება მათი გადახდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

შუბლი 95. ბაჟის უკმარნაკარეფი უნდა გადახდეს ტვირთის განმკარგულებლებს ამ კოდექსის III განყოფილებაში დადგენილი წესით.

### განყოფილება III

ვასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევისა და კონტრაბანდისათვის

შუბლი 96. საბაჟოს უფროსს აქვს დაჯარიმების უფლება საბაჟო წესების დარღვევისა და კონტრაბანდისათვის.

გადახდილი ჭარიმის თანხა შედის საკავშირო ბიუჯეტში.

შუბლი 97. დაჯარიმება ხდება საბაჟო წესების შემდეგი დარღვევებისათვის:

ა) თუ არ გააჩერებენ საზღვარგარეთიდან მოსულ ან საზღვარგარეთ მიმავალ ტრანსპორტს საბაჟო დაწესებულების განლაგების აღვილებების საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად;

